

კანონპროექტისათვის „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (07-2/54; 22.03.2017).

კანონპროექტის მიზანია ნარკოტიკული საშუალებების - მცენარე კანაფის დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობების, ხოლო მარიხუანას დიდი ოდენობის ცვლილება. მცენარე კანაფის შემთხვევაში, დიდი ოდენობა 50 გრამის ნაცვლად, განისაზღვრება 140 გრამის, ხოლო განსაკუთრებით დიდი ოდენობა - 250 გრამის ნაცვლად, 1000 გრამის ოდენობით. რაც შეეხება მარიხუანას, გამომშრალი მარიხუანას შემთხვევაში, დიდი ოდენობა, 50 გრამის ნაცვლად, განისაზღვრება 70 გრამის, ხოლო ნედლი მარიხუანას შემთხვევაში - 100 გრამის ნაცვლად 140 გრამის ოდენობით. აღნიშნული ნივთიერებების მცირე ოდენობები დარჩება უცვლელი.

საინფორმაციო ფურცელი

კანაფისა და მარიხუანას კანონმდებლობით დადგენილი ოდენობები

ევროპის ქვეყნების მიხედვით

ევროპის ქვეყნებში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოაქტიური ნივთიერებების უნიფიცირებული ნუსხა არ არის შემუშავებული. ეს საკითხი ზოგ ქვეყანაში კანონით¹, ზოგან - კანონქვემდებარე აქტით², ზოგან კი სასამართლო პრაქტიკით³ რეგულირდება.

ნუსხებში მოცემული ჩამონათვალი განსხვავდება ერთმანეთისაგან, ზოგ ქვეყანაში სრულად და ამომწურავად მოიცავს ყველა კონტროლირებად ფსიქოაქტიურ ნივთიერებას, ზოგან კი მხოლოდ რამდენიმე ძირითადი ნივთიერების ოდენობის განსაზღვრით შემოიფარგლებიან⁴.

რაც შეეხება კონტროლირებად ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა ოდენობების სამსაფეხურიან განაწილებას (მცირე - დიდი - განსაკუთრებით დიდი), ეს დამახასიათებელია პოსტსოციალისტური ქვეყნების კანონმდებლობისათვის და ევროპის ქვეყნებიდან გვხვდება უნგრეთის და ლიტვის კანონმდებლობაში.

კანაფის ოდენობა, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება, მიზანი პირადი მოხმარებაა თუ გასაღება, სხვადასხვაგვარია, მაგალითად: **ავსტრიაში** მცირე ოდენობად, რომელიც განკუთვნილია პირადი მოხმარებისათვის, ითვლება 5 გრ კანაფი, **ბელგიაში** - 3 გრ ან მცენარე

¹ უნგრეთში, ლატვიაში.

² ლიტვაში, პორტუგალიაში, საფრანგეთში, იტალიაში.

³ გერმანიაში, პოლონეთში, ჩეხეთში, საბერძნეთში.

⁴ ავსტრიაში, გერმანიაში, პორტუგალიაში, უნგრეთში, ფინეთში.

კანაფის 1 ძირი⁵, ჩეხეთში - 10 გრ მარიხუანა, 5 გრ ჰაშიში, გერმანიაში კანაფის მინიმალური ოდენობა განსხვავდება ლანდების მიხედვით - ბერლინში დადგენილია 15 გრ-მდე, ლანდების უმეტესობაში 6 გრ-მდე, პორტუგალიაში - დღიური დოზაა მცენარე კანაფის 2.5 გრ, ფინეთში - მარიხუანა არაუმეტეს 15 გრ, ჰაშიში არაუმეტეს 10 გრ, ლატვიაში - გამომშრალი მარიხუანა არაუმეტეს 5 გრ, ნედლი - არაუმეტეს 1 გრ, ჰაშიში - 0,1 გრ, ლიტვაში მცირე ოდენობად მიჩნეულია 5 გრ, დიდ ოდენობად - 500 გრ, ნიდერლანდებსა და უნგრეთში - მცენარე კანაფის არაუმეტეს 5 ძირი, დიდ ბრიტანეთში - არაუმეტეს 9 ძირი, უკრაინაში - არაუმეტეს 10 ძირი.

ესტონეთში განსაზღვრულია დიდი ოდენობა, რაც შეადგენს 7,5 გრ-ს და საკმარისია 10 პირის ინტოქსიკაციისთვის. საბერძნეთში გაუქმდა ოდენობის ზღვრები და მოსამართლის პრეროგატივაა განსაზღვროს პირადი მოხმარებისთვის იყო განკუთვნილი თუ არა.

დამატებითი ინფორმაციისთვის:

1. კანაფის კულტივირებისათვის დაწესებული სასჯელები იხ. ქვემოთ (გვ. 4-7) [დანართი N1.](#)
2. კანაფის მოხმარებისათვის დაწესებული სასჯელები იხ. ქვემოთ (გვ. 8-14) [დანართი N2.](#)

მომზადეს მაია ხმალაძემ და მაკა ბიბილაშვილმა

6.04.2017

გამოყენებული წყაროები:

1. European Monitoring Centre for Drugs and Drug Addiction
<http://www.emcdda.europa.eu>
2. Cannabis Laws & Scheduling in Europe
<http://www.medicalmarijuana.eu/legal/>
3. ევროპის ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსები
<http://www.legislationline.org/documents/section/criminal-codes>
4. ავსტრია
https://www.ris.bka.gv.at/Dokumente/BgblPdf/1997_377_2/1997_377_2.pdf
<https://www.ris.bka.gv.at/Dokument.wxe?Abfrage=Bundesnormen&Dokumentnummer=NOR40122601>
5. აზერბაიჯანის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი
<http://www.wipo.int/edocs/lexdocs/laws/ru/az/az024ru.pdf>
6. გერმანია

⁵ 2003 წლის პროკურატურის დირექტივისა და ამავე წლის 16 მაისის სამეფო დეკრეტის თანახმად.

<http://www.emcdda.europa.eu/topics/law/drug-law-texts?pluginMethod=eldd.showlegaltextdetail&id=677&lang=en&T=2>
https://www.ris.bka.gv.at/Dokumente/BgblPdf/1997_377_2/1997_377_2.pdf
<https://www.ris.bka.gv.at/Dokument.wxe?Abfrage=Bundesnormen&Dokumentnummer=NOR40122601>

7. დიდი ბრიტანეთი

<http://www.legislation.gov.uk/ukpga/1971/38/contents>
<http://www.legislation.gov.uk/ukpga/1971/38/section/6>
The Sentencing Council for England and Wales
<https://www.sentencingcouncil.org.uk/>
<https://www.sentencingcouncil.org.uk/offences/item/production-of-a-controlled-drug-cultivation-of-cannabis-plant/2-production-of-a-controlled-drug-cultivation-of-cannabis-plant/>

8. შვეიცარია

<https://www.admin.ch/opc/en/classified-compilation/19981989/index.html>

9. ესტონეთი

<https://www.riigiteataja.ee/en/eli/530102013024/consolide>
<https://www.riigiteataja.ee/en/eli/515052014001/consolide>

10. იტალია

<http://gazzette.comune.jesi.an.it/2006/95/6.htm>

11. ირლანდია

Misuse of Drugs Act, 1984 Ireland
<http://www.irishstatutebook.ie/1984/en/act/pub/0018/sec0006.html#sec6>

12. ლატვია

<http://vvc.gov.lv/image/catalog/dokumenti/Coming into Force of the Criminal Law.pdf>

13. ლიტვა

<http://www.infolex.lt/ta/66150:str265>
<https://www.e-tar.lt/portal/lt/legalAct/TAR.78F86C6BCA72/AGZapEkzQQ>

14. ნორვეგია

<https://lovdata.no/dokument/NL/lov/1992-12-04-132>

15. ჩეხეთი

<https://www.tni.org/en/article/cannabis-policy-in-the-czech-republic>

16. პოლონეთი

<https://www.unodc.org/doc/enl/Poland-E-NL-2007-26-V0783773.pdf>

17. პორტუგალია

<https://www.loc.gov/law/help/decriminalization-of-narcotics/portugal.php>
Portuguese legal framework applicable to the consumption of narcotics and psychotropic substances
http://www.sicad.pt/BK/Publicacoes/Lists/SICAD_PUBLICACOES/Attachments/96/Decriminalisation law.EN.pdf
http://www.sicad.pt/BK/Institucional/Legislacao/Lists/SICAD_LEGISLACAO/Attachments/525/Decriminalisation law EN.pdf
http://www.pgdlisboa.pt/leis/lei_mostra_articulado.php?nid=192&tabela=leis&so_miolo=

18. რუმინეთი

<http://www.emcdda.europa.eu/topics/law/drug-law-texts?pluginMethod=eldd.showlegaltextdetail&id=1649&lang=en&T=2>

19. უნგრეთი

https://www.unodc.org/res/cld/document/hun/2013/hungary_criminal_code_2012_html/Hungary_Criminal_Code.pdf

20. საფრანგეთი

http://bdoc.ofdt.fr/doc_num.php?explnum_id=23162

21. ფინეთი

http://www.vksv.oikeus.fi/material/attachments/valtakunnansyyttajanvirasto/vksvliitetiedostot/vksnyleisetohjeet/liitteet/6JaxuYBGB/VKS-2006-1_Liite_Taulukko.pdf

22. ჩეხეთი

Decriminalization of Narcotics, The Law Library of Congress, July 2016,

<https://www.loc.gov/law/help/decriminalization-of-narcotics/decriminalization-of-narcotics.pdf>;

CRIMINAL CODE OF THE CZECH REPUBLIC

<http://www.ejtn.eu/PageFiles/6533/Criminal%20Code%20of%20the%20Czech%20Republic.pdf>;

Tabulka - množství větší než malé, duben 2014

<http://www.policie.cz/clanek/mnozstvi-vetsi-nez-male.aspx>.

დანართი N1 კანაფის კულტივირებისათვის დაწესებული სასჯელები

ავსტრია

კანაფის კულტივირება ნარკოტიკული საშუალებების წარმოების მიზნით ისჯება 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან ჯარიმით. იგივე დანაშაული, ჩადენილი პირადი მოხმარების მიზნით ისჯება 6 თვემდე თავისუფლების აღკვეთით ან ჯარიმით. იგივე დანაშაული ჩადენილი ბაზარზე შეტანის მიზნით ისჯება 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან ჯარიმით (*კანონი ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ, მუხ. 27, 28*).

გერმანია

ნარკოტიკული საშუალებების უკანონო კულტივირება ისჯება 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან ჯარიმით. სასამართლოს უფლება აქვს არ დააწესოს სასჯელი, თუ საქმე ეხება ნარკოტიკული საშუალებების უკანონო კულტივირებას მცირე ოდენობით პირადი მოხმარების მიზნით (*კანონი ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ, მუხ. 29-1, 5*).

დიდი ბრიტანეთი

კანონით კანაფის კულტივირება აკრძალულია და როგორც სამართალდარღვევა ისჯება 12 თვემდე პატიმრობით ან/და 400 ფუნტის ოდენობის ჯარიმით, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული - თავისუფლების აღკვეთით 14 წლამდე ან/და ჯარიმით (*კანონი ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების შესახებ 1971, მუხ. 6*).

დიდი ბრიტანეთის სასჯელთა დამდგენი საბჭოს სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების, მათ შორის, კულტივირებისთვის, განსაზღვრული

სასჯელის გამოთვლა ხდება შემდეგი სქემით: მხედველობაში მიიღება 1. დანაშაულის როლი დანაშაულის ჩადენაში - ა) წამყვანი, ბ) მნიშვნელოვანი და გ) ნაკლებად მნიშვნელოვანი; და 2. დანაშაულის სიმძიმე - ა) კანაფის კულტივირება ხდება კომერციული მიზნით ნარკოტიკულ ნივთიერებათა განსაკუთრებით დიდი ოდენობით წარმოებისათვის, ბ) კანაფის კულტივირება ხდება კომერციული მიზნით ნარკოტიკულ ნივთიერებათა დიდი ოდენობით წარმოებისათვის, გ) კანაფის რაოდენობა შეადგენს 28 ძირს ან ნაკლებს, იმ ვარაუდით, რომ თითოეული ძირიდან მიიღება 40 გრ მშრალი ნივთიერება, დ) კანაფის რაოდენობა შეადგენს 9 ძირს ან ნაკლებს. ამ კატეგორიათა კომბინაციით დგინდება სასჯელის ზომა, რომლის ზედა ზღვარი შეადგენს თავისუფლების აღკვეთას 8 წლამდე, ქვედა კი - საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას.

ესტონეთი

კანაფის უკანონო მოყვანა ისჯება ჯარიმით ან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით. იგივე დანაშაული, ჩადენილი ისეთი პირის მიერ, რომელსაც ჩადენილი აქვს ქურდობა, ძარცვა, ნარკოტიკულ საშუალებათა ან ფსიქოტროპულ ნივთიერებათა უკანონო იმპორტი, ექსპორტი ან მიწოდება, ან პენიტენციურ დაწესებულებაში მათი შეტანა, ისჯება 1-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთით (*სისხლის სამართლის კოდექსი მუხ. 188*). მცირე ოდენობით ნარკოტიკის მოყვანა ისჯება ჯარიმით ან პატიმრობით (*კანონი ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შესახებ, მუხ. 15¹*). კანონით დასაშვებია ნარკოდამოკიდებული პირისთვის ალტერნატიული სახით მკურნალობის დანიშვნა, თუ მისთვის დანიშნული სასჯელის ვადა 6 თვიდან 2 წლამდეა და მსჯავრდებული თანახმაა, გაიაროს მკურნალობის კურსი.

ესპანეთი

საზოგადოებრივი წესრიგის მძიმე დარღვევას წარმოედგენს კანაფის მოყვანა და კულტივირება საზოგადოებისათვის თვალსაჩინო ადგილებში და ისჯება 601-დან 30000 ევრომდე ჯარიმით (*კანონი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შესახებ, მუხ. 36-18*).⁶ წინააღმდეგ შემთხვევაში სასჯელი შეადგენს 1-დან 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას და ჯარიმას, რომელიც უტოლდება ამოღებულ ნარკოტიკულ საშუალებათა ღირებულების 1-დან 2-მაგამდე ოდენობას (*სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 368*).

ლიტვა

პირი, რომელსაც დადგენილი პროცედურების დარღვევით დიდ რაოდენობით მოჰყავს კანაფი... ისჯება საზოგადოებრივი სამუშაოებით, ან ჯარიმით, ან თავისუფლების შეზღუდვით, ან პატიმრობით, ან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით (*სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 265*).

ლატვია

უკანონო თესვა და მოყვანა მცენარის, რომელიც შეიცავს ნარკოტიკულ საშუალებებს, ისჯება 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან დროებითი თავისუფლების აღკვეთით, ან საზოგადოებრივი სამუშაოებით, ან ჯარიმით. იგივე დანაშაული ჩადენილი დიდ ფართობზე ორგანიზებული ჯგუფის მიერ, ისჯება 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან დროებითი თავისუფლების აღკვეთით, ან საზოგადოებრივი სამუშაოებით, ან ჯარიმით, ქონების

⁶ სასჯელი ნარკოტიკულ საშუალებათა მოყვანისა და კულტივირებისათვის საზოგადოებისათვის არათვალსაჩინო ადგილებში, კანონით გათვალისწინებული არა არის.

კონფისკაციით ან მის გარეშე *(სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 256)*. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად იგივე დანაშაული ისჯება გაფრთხილებით ან ჯარიმით *(მუხ. 103²)*.

ნორვეგია

ნარკოტიკულ საშუალებათა წარმოებისათვის მცენარეთა კულტივირება არის დანაშაული *(კანონი მედიკამენტების შესახებ, მუხ. 22)* და ისჯება ჯარიმით ან პატიმრობით 3 თვემდე ვადით *(იქვე, მუხ. 31)*. მცდელობა განიხილება, როგორც სამართალდარღვევა *(იქვე, მუხ. 31)*.

პოლონეთი

კანაფის კულტივირება ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ან თავისუფლების აღკვეთით 2 წლამდე ვადით *(კანონი ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, მუხ. 62)*.

რუმინეთი

2004 წელს შეტანილი ცვლილებით ნარკოტიკული საშუალებების არაკანონიერი კულტივაცია პირადი მოხმარების მიზნით ისჯება თავისუფლების აღკვეთით 2-დან 5 წლამდე ვადით, თუ საქმე ეხება მაღალი რისკის შემცველ ჯგუფში შეტანილ ნარკოტიკულ საშუალებებს, და თავისუფლების აღკვეთით 6 თვიდან 2 წლამდე - თუ საქმე ეხება რისკის შემცველ ნარკოტიკებს *(კანონი ნარკოტიკულ საშუალებათა ტრეფიკინგისა და მოხმარების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, მუხ. 4)*. 2005 წლის კანონით ნარკოტიკის შემცველ მცენარეთა და ნივთიერებათა სამართლებრივი რეჟიმის შესახებ კანაფი შედის მაღალი რისკის შემცველ ჯგუფში.

უნგრეთი

პირი, რომელიც ახდენს ნარკოტიკის კულტივირებას... ისჯება თავისუფლების აღკვეთით 1-დან 5 წლამდე ვადით. თუ დანაშაული ჩადენილია მცირე ოდენობით, მიიჩნევა სამართალდარღვევად და ისჯება თავისუფლების აღკვეთით 2 წლამდე ვადით *(სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 178-1, 5)*. თუ დანაშაული ჩადენილია მცირე ოდენობით, სასჯელი არ დაენიშნება ამ დანაშაულში ბრალდებულ პირს, თუ ის აღიარებს დანაშაულს და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვამდე დაადასტურებს კანონით გათვალისწინებული წესით, რომ არის ნარკოდამოკიდებული და წარმოადგენს დოკუმენტს იმის შესახებ, რომ არანაკლებ ზედიზედ 6 თვის განმავლობაში გადიოდა მკურნალობის ან რეაბილიტაციის კურსს როგორც ნარკოდამოკიდებული. აღნიშნული წესი არ ვრცელდება პირზე, რომლის მიმართაც დანაშაულის ჩადენამდე 2 წლის განმავლობაში: გადავადებული იყო ბრალდება ან შეჩერებული იყო გამოძიება იმის გამო, რომ სამართალდამრღვევი გადიოდა მკურნალობის ან რეაბილიტაციის კურსს როგორც ნარკოდამოკიდებული ან მსჯავრდებული იყო ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისა და შენახვის გამო *(სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 178, 180)*.

ფინეთი

პირი, რომელიც ახდენს ან ცდილობს კანაფის კულტივირებას მისი ნარკოტიკულ საშუალებად გამოყენების ან ნარკოტიკული საშუალების მასალად გამოყენების ან ნარკოტიკული საშუალების წარმოების ან დამზადების მიზნით, ისჯება ჯარიმით ან 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთით *(სისხლის სამართლის კოდექსი, თავი 50, მუხ. 1-2)*. თუ დანაშაულის ობიექტია განსაკუთრებით საშიში ნარკოტიკული საშუალება ან ნარკოტიკული საშუალება დიდი ოდენობით, სასჯელი შეადგენს 1-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას *(იქვე, მუხ. 2)*.

შვეიცარია

პირი, რომელსაც ნარკოტიკული საშუალებები არაკანონიერად ლიცენზიის გარეშე მოჰყავს... ისჯება 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან ჯარიმით, ასევე ისჯება ამ დანაშაულის მომზადება; სასამართლოს აქვს დისკრეციული უფლება დანაშაულის მომზადებისათვის განსასჯელ პირს შეუმსუბუქოს სასჯელის ზომა (*ფედერალური კანონი ნარკოტიკულ საშუალებათა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შესახებ, მუხ. 19-1, 3*). თუ ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას პირი მოქმედებს როგორც ისეთი ჯგუფის წევრი, რომელიც ჩამოყალიბებულია ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაციის მიზნით, ისჯება არანაკლებ 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთით; სასამართლოს ასევე აქვს დისკრეციული უფლება შეამსუბუქოს სასჯელის ზომა იმ მსჯავრდებულს, რომელიც თავად არის ნარკოდამოკიდებული და დანაშაულის მიზანი იყო პირადი მოხმარებისათვის საჭირო ნარკოტიკული საშუალებების შესაძენად საჭირო ფინანსების მოპოვება (*იქვე, მუხ. 19-2*).

ჩეხეთი

კანაფის მოყვანა პირადი მოხმარების მიზნით მცირე ოდენობასთან შედარებით მეტი ოდენობით ნებართვის გარეშე, ისჯება 6 თვემდე თავისუფლების აღკვეთით, ჯარიმით ან ამ ნივთიერების ან სხვა შემოსავლების კონფისკაციით. იგივე დანაშაული ჩადენილი დიდი ოდენობით, ისჯება 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან ჯარიმით. იგივე დანაშაული ჩადენილი მნიშვნელოვანი ოდენობით, ისჯება 6 თვიდან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით (*სისხლის სამართლის კოდექსი მუხ. 285-1, 3*). მთავრობის დირექტივით განსაზღვრული იყო კულტივირებული კანაფის მცირე ოდენობა როგორც მცენარის 5 ან 5-ზე ნაკლები ძირი, მაგრამ უზენაესი სასამართლომ გააუქმა აღნიშნული დირექტივა და კანაფის მცირე ოდენობად დაადგინა 10 გრ გამომშრალი ნივთიერება.

ხორვატია

კანაფის უკანონო კულტივაციისათვის ფიზიკური პირი ისჯება 660-დან 2650 ევრომდე, იურიდიული პირი კი - 2650-დან 6630 ევრომდე ოდენობის ჯარიმით (*ნარკოტიკულ საშუალებათა ბოროტად გამოყენებასთან ბრძოლის შესახებ კანონი, მუხ. 54-1, 15*).

უკრაინა

10-დან 50-მდე ძირი კანაფის არაკანონიერი დათესვა ან მოყვანა ისჯება დაუბეგრავი მინიმალური შემოსავლის 100-მაგიდან 500-მაგამდე ოდენობის ჯარიმით, 4 თვემდე პატიმრობით ან თავისუფლების შეზღუდვით 3 წლამდე. იგივე დანაშაული, რაც გულისხმობს 500 და მეტი ძირი კანაფის დათესვას ან მოყვანას, ისჯება თავისუფლების აღკვეთით 3-დან 7 წლამდე ვადით (*სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 310*).

დანართი № 2 კანაფის მოხმარებისათვის დაწესებული სასჯელები

ნარკოტიკებისა და ნარკომანიის მონიტორინგის ევროპული ცენტრის (*European Monitoring Centre for Drugs and Drug Addiction*) მონაცემებზე დაყრდნობით, ჩვენ მიერ განხილული ქვეყნების უმრავლესობაში კანონმდებლობა ან საერთოდ არ განიხილავს ნარკოტიკების მოხმარებას სამართალდარღვევად ან სჯის ადმინისტრაციული წესით. სანქციები (ძირითადად,

ადმინისტრაციული) ვრცელდება ნარკოტიკული საშუალებების შეძენასა და შენახვაზე. სანქციების სახეობა და სიმძიმე დამოკიდებულია ნარკოტიკების სახეობაზე. სხვადასხვა სამართლებრივი მიდგომა არსებობს კანაფის მოხმარების მიმართ. ბევრმა ქვეყანამ კანაფი გამოყო სხვა ნარკოტიკული საშუალებებისგან როგორც „მსუბუქი“ ნარკოტიკი. ასევე, კანაფის მცირე ოდენობით შენახვისთვის, გასაღების მიზნის გარეშე, პატიმრობის ნაცვლად გამოიყენება სხვა ალტერნატიული სანქციები, როგორცაა გაფრთხილება, ჯარიმა და სპეციალურ სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვა. ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში კანაფის შესახებ კანონმდებლობა და პრაქტიკა ერთმანეთისგან განსხვავდება. თეორიულად, დამზადება, დისტრიბუცია და კანაფის მოხმარება, რომელიც 0,2%-ზე მეტ THC⁷ შეიცავს, აკრძალულია კანონმდებლობით, პრაქტიკაში კი პოლიციელსა და მოსამართლეზეა დამოკიდებული გამოიყენებენ თუ არა სანქციას.

ბელგია

ბელგიის კანონში ნარკოტიკების შესახებ არ არის ნახსენები კონტროლირებადი ნარკოტიკის მოხმარება, როგორც სამართალდარღვევა, თუმცა მომხმარებელი შეიძლება დაისაჯოს შენახვის ფაქტზე. 2003 წლიდან კანონმდებლობა ერთმანეთისგან განასხვავებს კანაფის და სხვა კონტროლირებადი ნარკოტიკების შენახვას პირადი მოხმარებისთვის. კანაფის ახალი სტატუსი საშუალებას აძლევს პროკურორს არ აღძრას საქმე კანაფის შენახვის ფაქტზე პირადი მოხმარებისთვის, თუ მას არ ახლავს რაიმე დამამძიმებელი გარემოება ან საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა. 2005 წლის დირექტივით კანაფის შენახვის ფაქტზე აღიძვრება საქმე, თუ პირს აღმოაჩნდება 3 გრამზე ან ერთი ძირ მცენარეზე მეტი; დაირღვა საზოგადოებრივი წესრიგი ან სახეზე სხვა დამამძიმებელი გარემოება, როგორცაა მაგალითად, კანაფის შენახვა ისეთ ადგილებში სადაც სკოლის ბავშვები იმყოფებიან. მსგავსი შემთხვევები ისჯება 3 თვიდან 1 წლამდე პატიმრობით ან/და ჯარიმით 1000 ევროდან 100 000 ევრომდე. ისეთი შემთხვევები, რომლებსაც არ ახლავს დამამძიმებელი გარემოებები, კანაფის შენახვა პირადი მოხმარებისთვის ისჯება ჯარიმით. თუ არსებობს მტკიცებულება, რომ პირი კანაფზე დამოკიდებულია, მას ჩართავენ სპეციალურ თერაპიულ პროგრამაში.

ჩეხეთი

ჩეხეთში ნარკოტიკების მოხმარება არ არის სისხლის სამართლის დანაშაული. თუმცა პარლამენტმა შესწორება შეიტანა სისხლის სამართლის კოდექსში და „დარღვევების შესახებ“ აქტში, რომელთა მიხედვით ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების არალეგალური შენახვა სისხლის სამართლის დანაშაულია, თუ ის აღემატება „მცირე ოდენობას“. მცირე ოდენობით შენახვა პირადი მოხმარებისთვის ისჯება ადმინისტრაციული ჯარიმით 550 ევრომდე ოდენობით. კანონში მცირე ოდენობა არ არის განსაზღვრული, ის მოცემულია პროკურატურის ინსტრუქციაში და პოლიცია და პროკურატურა ამ ინსტრუქციით ხელმძღვანელობს. მცირე

⁷ ტეტრაჰიდროკანაბიოლი (THC) - კანაფის შემადგენელი ქიმიური ნივთიერება კლასიფიცირებულია, როგორც ფსიქოტროპული ნივთიერება და შეტანილია გაეროს 1971 წლის კონვენციის ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ I და II ჯგუფში.

ოდენობად ითვლება: მაქსიმუმ 15 გრამი გამომშრალი მარიხუანა, 5 გრამი ჰაშიში, გრამ-ნახევარი ჰეროინი, ექსტაზის 4 აბი, კოკაინის 10 დოზა (50 მგ თითო) და 2 გრამი მეტამფეტამინი. ახალი სისხლის სამართლის კოდექსი ერთმანეთისგან ასხვავებს კანაფისა და სხვა ნარკოტიკების შენახვას პირადი მოხმარებისთვის. კანაფის შენახვა პირადი მოხმარებისთვის, თუ ის არ აღემატება „მცირე ოდენობას“, ისჯება მაქსიმუმ 1 წლამდე პატიმრობით, ხოლო სხვა ნარკოტიკების შენახვა მაქსიმუმ 2 წლამდე პატიმრობით. სხვა ნარკოტიკების დიდი რაოდენობით შენახვის შემთხვევაში სასჯელი იქნება 2-დან 8 წლამდე პატიმრობა.

პორტუგალია

თუ პირი დაკავებული იქნა კანონით განსაზღვრული ოდენობის ნებისმიერი ნარკოტიკული საშუალებით (ნარკოტიკული საშუალების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ერთი პირისთვის განკუთვნილ 10 დღის დოზას, მაგალითად, 25 გრამამდე მარიხუანასა და 5 გრამამდე ჰაშიშს), და თუ პოლიცია დარწმუნდება, რომ ნარკოტიკი განკუთვნილია მხოლოდ პირადი მოხმარებისთვის, პოლიცია ამოიღებს ნარკოტიკულ საშუალებას და საქმეს აგზავნის სპეციალურ კომისიაში (Commission for Dissuasion of Drug Dependence), რომლის შემადგენლობაშიც შედიან იურისტი, ექიმი და სოციალური მუშაკი. კომისია ხვდება ნარკოტიკების მომხმარებელს, რათა შეაფასოს მისი მდგომარეობა და გაუწიოს მას შემდგომი დახმარება.

დანია

დანის კანონმდებლობით ნარკოტიკების მოხმარება არ არის სისხლის სამართლის დანაშაული, ხოლო შენახვა ისჯება ჯარიმით, რომლის ოდენობა დამოკიდებულია ნარკოტიკის სახეობასა და რაოდენობაზე. თუ პირი პირველად დააკავეს შენახვის ფაქტზე და მას აღმოაჩნდა, მაგალითად, 10 გრამამდე ჰაშიში ან 50 გ. მარიხუანა, მას დაეკისრება ჯარიმა 260 ევროს ოდენობით ან მან შეიძლება მიიღოს გაფრთხილება. აღნიშნული დანაშაულის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში ჯარიმა გაიზრდება და, თუ პირს აღმოაჩნდა დიდი ოდენობით ნარკოტიკი პირადი მოხმარებისთვის, სანქცია იქნება პატიმრობა მაქსიმუმ 2 წლამდე ვადით. ზოგიერთ შემთხვევაში ძლიერი ნარკოტიკის შენახვა ისჯება მოკლე ვადიანი პატიმრობით.

ახალი კანონით შესაძლებელია მომხმარებლისთვის ჰეროინის გამოწერა სამედიცინო რეცეპტით, ასევე 2012 წლიდან კანონით ნებადართულია სპეციალური ოთახების გახსნა, სადაც მომხმარებელს შეუძლია მოიხმაროს აკრძალული ნარკოტიკული საშუალება. ასეთი ოთახების გახსნა ჯანდაცვის სამინისტროს პრეროგატივაა.

საბერძნეთი

საბერძნეთის კანონმდებლობა ერთმანეთისგან განასხვავებს *ნარკომანსა* და *მომხმარებელს*⁸. კანონის მიხედვით ნარკოტიკის მოხმარება, მასი შეძენა პირადი მოხმარებისთვის ან კანაფის კულტივირება ისეთი რაოდენობით, რაც მხოლოდ პირადი მოხმარებისთვისაა განკუთვნილი, ისჯება 5 თვემდე პატიმრობით. მოსამართლის გადაწყვეტილებით მომხმარებელი შეიძლება

⁸ პირი, რომელიც ექიმის დანიშნულების გარეშე მოიხმარს ნარკოტიკულ საშუალებას, მაგრამ მის მიმართ ჩამოყალიბებული არა აქვს ფსიქიკური ან/და ფიზიკური დამოკიდებულება.

ჩართონ სპეციალურ სამკურნალო პროგრამაში. პირებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ პროგრამაში, შეფარდებული სასჯელის აღსრულება შეიძლება გადაიდოს. 2013 წლის შესწორებით გაუქმდა კანონით განსაზღვრული ნარკოტიკების ოდენობები განკუთვნილი პირადი მოხმარებისთვის. მოსამართლეზეა დამოკიდებული განსაზღვროს ნარკოტიკი იყო თუ არა განკუთვნილი პირადი მოხმარებისთვის, რა რაოდენობა შეიძლება ყოფილიყო განკუთვნილი პირადი მოხმარებისთვის და სხვ.

საფრანგეთი

საფრანგეთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კოდექსი ნარკოტიკების მოხმარებას როგორც საჯარო, ისე პრივატულ ადგილებში, სისხლის სამართლებრივ სამართალდარღვევად მიიჩნევს და ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე ვადით და ჯარიმას 3 750 ევრომდე ოდენობით. თუმცა იუსტიციის მინისტრის დირექტივა რეკომენდაციას აძლევს პროკურორებს, რომ განასხვავონ ერთმანეთისგან მძიმე და მსუბუქი ნარკოტიკული დანაშაულები და სანქციის შერჩევისას, განსაკუთრებით, თუ საქმე ეხება ნარკოტიკებზე დამოკიდებულ პირს, უპირატესობა მიანიჭონ სარეაბილიტაციო/თერაპიულ პროგრამებში მათ ჩართვას და არა პატიმრობას. დღესდღეობით პრაქტიკაში ნარკოტიკების მოხმარებისთვის მცირე ოდენობით, ალტერნატიული სანქციების დიდი არჩევანია. ალტერნატიული სანქციის სახით გამოიყენება თერაპიულ/საინფორმაციო პროგრამაში ჩართვა, გაფრთხილება, რომელსაც შეიძლება თან ახლდეს მოთხოვნა რომ პირმა კონტაქტი იქონიოს სოციალურ ან ჯანმრთელობის დაცვის სამსახურთან, ასევე პირს შეიძლება დაეკისროს საზოგადოებისთვის სასარგებლო სამუშაოს შესრულება ანაზღაურების გარეშე. ნარკოტიკების მოხმარებისთვის თავისუფლების აღკვეთა რჩება როგორც ერთ-ერთი სასჯელი, თუმცა იშვიათად გამოიყენება. ნარკოტიკების არალეგალური შენახვა სისხლის სამართლის დანაშაულია. კანონი არ ასხვავებს შენახვას გასაღების მიზნით და გასაღების მიზნის გარეშე, თუმცა პრაქტიკაში ეს დამოკიდებულია პროკურორზე, ნარკოტიკული საშუალების ოდენობისა და საქმის სხვა გარემოებების გათვალისწინებით.

იტალია

იტალიის კანონმდებლობით ნარკოტიკული საშუალებების შენახვა პირადი მოხმარების მიზნით ისჯება ადმინისტრაციული სანქციებით. სანქცია ნარკოტიკის შენახვისთვის პირადი მოხმარებისთვის შეიძლება იყოს ჯარიმა, მართვის მოწმობის დროებითი ჩამორთმევა ან პატიმრობა 1-დან 12 თვემდე. თუ პირი დაკავებული იქნა ნარკოტიკული საშუალების შენახვის ფაქტზე პირადი მოხმარებისთვის, პოლიციის პრეფექტთან გასაუბრების შემდეგ, თუ დათანხმდება, რომ მომავალში თავს შეიკავებს ნარკოტიკების მოხმარებისგან, პირველი დაკავებისას მიიღებს მხოლოდ გაფრთხილებას. განმეორების შემთხვევაში პირს დაეკისრება ადმინისტრაციული სანქცია. ასევე პირი, მისი თანხმობით, შეიძლება ჩართონ სარეაბილიტაციო პროგრამაში. თუ იგი პროგრამას დატოვებს საპატიო მიზეზის გარეშე, პირველად მიიღებს გაფრთხილებას, ხოლო განმეორების შემთხვევაში მისი საქმე გადაიგზავნება პროკურორთან.

შვედეთი

„ნარკოტიკული საშუალებების“ აქტის მიხედვით, ნარკოტიკული დანაშაულები სამ კატეგორიად იყოფა: მძიმე, ნაკლებად მძიმე და მსუბუქი. ნარკოტიკული საშუალებების (მათ შორის, კანაფის) მოხმარება ან შენახვა პირადი მოხმარებისთვის მსუბუქი ხასიათის სამართალდარღვევაა და ისჯება ჯარიმით ან პატიმრობით ვადით 6 თვემდე, თუმცა პრაქტიკაში უმეტესად გამოიყენება ჯარიმა, ასევე მოსამართლეს შეუძლია პატიმრობის ნაცვლად დანიშნოს პირობითი სასჯელი ან დაუნიშნოს მკურნალობა, თუ საქმის გარემოებები ამის საშუალებას იძლევა.

ნორვეგია

ნარკოტიკების მცირე ოდენობით მოხმარება და შენახვა პირადი მოხმარებისთვის სისხლის სამართლის დანაშაულია 1984 წლიდან. თუმცა 5 გრამამდე კანაფის მოხმარება ან შენახვა პირადი მოხმარებისთვის არა სისხლის სამართლის კოდექსით არამედ „სამედიცინო პროდუქტების“ აქტით წესრიგდება და ისჯება ჯარიმით. იმავე აქტით კანაფის უფრო დიდი ოდენობით მოხმარება ან შენახვა პირადი მოხმარებისთვის ან აღნიშნული დანაშაულის განმეორებით ჩადენა გამოიწვევს პატიმრობას 6 თვემდე ვადით. თუ ქონა დიდხანს გაგრძელდა დროში (აქტში არ არის მითითებული ხანგრძლივობა), მას შენახვის კვალიფიკაცია მიენიჭება და დაისჯება სისხლის სამართლის კოდექსით.

გერმანია

გერმანიის კანონმდებლობით ნარკოტიკების მოხმარება არ არის სისხლის სამართლის დანაშაული, თუმცა „ნარკოტიკების შესახებ“ აქტი სამართალდარღვევად მიიჩნევს ნარკოტიკული საშუალების შენახვას ლიცენზიის გარეშე. იგივე აქტის თანახმად, თუ პროკურორი დარწმუნდება, რომ ადგილი აქვს მსუბუქ სამართალდარღვევას, ე.ი. პირს აღმოაჩნდა მცირე ოდენობის ნარკოტიკი პირადი მოხმარებისთვის, შეუძლია არ აღძრას საქმე, სასამართლოს ნებართვის გარეშეც კი.

ესტონეთი

კანაფის მცირე ოდენობით შეძენა, მოხმარება და შენახვა პირადი მოხმარებისთვის მსუბუქი ხასიათის სამართალდარღვევად ითვლება და ისჯება ჯარიმით ან 30 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობით.

თურქეთი

2014 წლის ცვლილებებით ნარკოტიკების მოხმარება, შეძენა, ან შენახვა პირადი მოხმარებისთვის სისხლის სამართლის დანაშაულია და ისჯება 2-დან 5 წლამდე პატიმრობით. ასევე გათვალისწინებულია ალტერნატიული სანქციები, როგორცაა სარეაბილიტაციო პროგრამაში ჩართვა და გათავისუფლება გამოსაცდელი ვადით მაქსიმუმ 3 წლამდე. გამოსაცდელი ვადა, როგორც ალტერნატიული სასჯელი, შეიძლება გამოყენებული იქნას მხოლოდ ერთხელ.

ესპანეთი

ესპანეთის კანონმდებლობა ნარკოტიკების მოხმარებას და შენახვას პირადი მოხმარებისთვის არ მიიჩნევს სისხლის სამართლის დანაშაულად. თუმცა, ორგანული კანონის „მოქალაქეთა უსაფრთხოების“ მიხედვით, ნარკოტიკების მოხმარება საჯარო ადგილებში და ასევე

ნარკოტიკული საშუალების არალეგალური შენახვა, თუნდაც გასაღების მიზნის გარეშე ისჯება ადმინისტრაციული ჯარიმით. მცირე ხასიათის სამართალდარღვევების შემთხვევაში, თუ პირი დათანხმდება ჩაერთოს სამკურნალო/სარეაბილიტაციო პროგრამაში, მისთვის დაკისრებული ჯარიმის აღსრულება გადაიდება.

ირლანდია

ირლანდიის კანონმდებლობა ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებას, დანაშაულად არ მიიჩნევს (გარდა გარკვეული ქმედებებისა, რაც დაკავშირებულია ოპიუმის მოსაწევად მომზადებასთან), თუმცა ნარკოტიკების შესახებ აქტის მიხედვით კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკების არალეგალური შენახვა (შესაბამისი ნებართვის გარეშე) სისხლის სამართლის დანაშაულია. სასჯელი შენახვის ფაქტზე პირადი მოხმარებისთვის დამოკიდებულია ნარკოტიკის სახეობაზე. პირადი მოხმარებისთვის კანაფისა და კანაფის ფისის შენახვის პირველი და მეორე შემთხვევა ისჯება ჯარიმით; ხოლო მესამე და დანარჩენი შემთხვევები ისჯება ჯარიმით ან პატიმრობით მაქსიმუმ 3 წლამდე ან სასჯელის ორივე სახე გამოიყენება ერთდროულად. სხვა სახის ნარკოტიკების შენახვის ფაქტზე პირადი მოხმარებისთვის სასჯელი უფრო მკაცრია და შეიძლება იყოს ჯარიმა ან პატიმრობა 7 წლამდე ვადით. სისხლის სამართლის სამართალწარმოების/სასამართლოს აქტი ავალდებულებს მოსამართლეებს, რომ 12 თვემდე პატიმრობის ნაცვლად გამოიყენონ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, როგორც სასჯელის სახე.

ლიტვა

ნარკოტიკული საშუალებების მცირე ოდენობით შენახვა პირადი მოხმარებისთვის ისჯება სისხლის სამართლის წესით და პირს შეიძლება შეეფარდოს პატიმრობა 2 წლამდე ვადით. ეს ქმედება ასევე შეტანილია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, თუმცა როგორც წესი ისჯება სისხლის სამართლის წესით.

ლატვია

მცირე ოდენობის კანაფის შენახვა ან მოხმარება ადმინისტრაციული ხასიათის დარღვევაა და ისჯება გაფრთხილებით, ჯარიმით 280 ევრომდე ოდენობით. სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, დიდი ოდენობით ნარკოტიკის შენახვა პირადი მოხმარებისთვის ისჯება პატიმრობით ვადით 3 წლამდე. აღნიშნული ქმედებების განმეორებით ჩადენა გასაღების მიზნის გარეშე ისჯება 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთით. სასამართლოს შეუძლია გადადოს სასჯელის აღსრულება ან საერთოდ მოუხსნას, თუ მოხმარებელი დათანხმდება გაიაროს მკურნალობის კურსი. ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების მოხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე ისჯება ადმინისტრაციული სანქციებით.

ნიდერლანდები

ნიდერლანდების კანონმდებლობით ნარკოტიკების მოხმარება სისხლის სამართლის დანაშაული არ არის, თუმცა არის გარემოებები, როდესაც მოხმარება ისჯება, მაგალითად, თუ მოხმარებას ადგილი ჰქონდა სკოლასთან ახლოს ან საზოგადოებრივ ტრანსპორტში. ამის შესახებ

გადაწყვეტილებას იღებს ადგილობრივი ხელისუფლება. მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების შენახვა პირადი მოხმარებისთვის არ ექვემდებარება საპოლიციო გამოძიებას, მაგალითად, თუ პირს აღმოაჩნდა ჰეროინი, კოკაინი, ექსტაზი ან ამფეტამინი 0,5გ-ზე მცირე ოდენობით ან კანაფი 5გ-ზე მცირე ოდენობით. ასევე არ ისჯება 5 გრამამდე კანაფის შექმნა ე.წ. „კოფიშოპში“ (coffee shop)⁹, იმ შემთხვევაში, თუ კანაფის შექმნას ადგილი ჰქონდა ერთ კონკრეტულ კოფიშოპში ერთ დღეს. კოფიშოპში კანაფის გაყიდვა, თუნდაც მცირე ოდენობით, სამართალდარღვევაა, მაგრამ პროკურატურა საქმეს აღძრავს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მაღაზიის მეპატრონე არ იცავს პროკურატურის მიერ დადგენილ წესებს. მაგალითად, მაღაზიას არ შეიძლება ჰქონდეს 500 გრამზე მეტი კანაფი და ერთ პირზე არ შეიძლება 5 გრამზე მეტის მიყიდვა და სხვ.

ფინეთი

ნარკოტიკის შექმნა, მოხმარება ან შენახვა მცირე ოდენობით პირადი მოხმარებისთვის ისჯება სისხლის სამართლის წესით. პირს დაეკისრება ჯარიმა ან 2 წლამდე პატიმრობა. მცირე ოდენობით კანაფის არალეგალური ქონა პირადი მოხმარებისთვის ისჯება ჯარიმით ან 6 თვემდე თავისუფლების აღკვეთით. ასეთ შემთხვევებში პოლიცია, როგორც წესი, აჯარიმებს ნარკოტიკების მომხმარებელს და საქმე არ მიდის სასამართლოში, თუ თავად დაკავებულმა არ მოითხოვს.

დიდი ბრიტანეთი

დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობით ნარკოტიკების მოხმარება სისხლის სამართლის წესით არ ისჯება. „ნარკოტიკების არასწორი გამოყენების“ აქტის მიხედვით სანქციები გათვალისწინებულია ნარკოტიკების არალეგალური შენახვის ფაქტზე. კანონი განასხვავებს ერთმანეთისგან შენახვას პირადი მოხმარებისთვის და გასაღების მიზნით. სანქცია შეიძლება იყოს გაფრთხილება, ჯარიმა, პატიმრობა. ჯარიმის ოდენობა და პატიმრობის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ნარკოტიკის სახეობაზე.

სომხეთი

სომხეთის¹⁰ სისხლის სამართლის კოდექსით ნარკოტიკების მოხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე ისჯება ჯარიმით ან 2 თვემდე პატიმრობით. *(ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არ არის ხელმისაწვდომი არც რუსულ და არც ინგლისურ ენაზე).*

აზერბაიჯანი

აზერბაიჯანის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, პირადი მოხმარებისათვის განკუთვნილ რაოდენობაზე მეტი ოდენობის ნარკოტიკების ან ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონოდ შექმნა ან შენახვა (გასაღების მიზნის გარეშე) ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3 წლამდე ვადით.

⁹ ე.წ. „კოფიშოპი“, სადაც კანაფის გაყიდვა მცირე ოდენობით ნებადართულია.

¹⁰ სომხეთმა ევროსაბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე 2003 წლიდან შეცვალა სანქციები ნარკოტიკების მოხმარებისთვის და უფრო მსუბუქი სანქციები დააწესა.

აზერბაიჯანის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და მათი მსგავსი ნივთიერებების მოხმარებისთვის გათვალისწინებულია ფულადი ჯარიმა (300-იდან 400-მდე აზერბაიჯანული მანათის , ანუ 159 – 212 ევროს ოდენობის) ან საქმის გარემოებიდან გამომდინარე 15 დღიანი ადმინისტრაციულ პატიმრობა.

უკრაინა

უკრაინის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი მცირე ოდენობის¹¹ ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო შენახვის შემთხვევაში ითვალისწინებს ჯარიმას ან ადმინისტრაციულ პატიმრობას ვადით 15 დღემდე.

სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ნარკოტიკების მოხმარება ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით 4 წლამდე ან პატიმრობით ვადით 3 წლამდე, ხოლო განმეორების შემთხვევაში ან თუ ჩადენილია იმ პირის მიერ, ვინც ადრე ნასამართლევია ნარკოტიკული დანაშაულისთვის, ისჯება პატიმრობით 3 წლიდან 5 წლამდე ვადით.

¹¹ ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერების მცირე ოდენობას ადგენს ჯანდაცვის სფეროში აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ უფლებამოსილი ორგანო.